ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5227382

ნომერი: AR1794798

თარიღი : 16.12.2020

გაცემის თარიღი : 31.12.2020

გაცნობის თარიღი : 22.05.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გია ჭილაია პ/ნ 01201126634
- თბილისი მ.კოსტავას ქ. N 75 ბ. 17

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 12 ნოემბრის №5180095 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 16 დეკემბერს №AR1794798 განცხადებით მომართა გია ჭილაიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 12

ნოემბრის №5180095 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 30 ოქტომბრის №5168283 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დიდი დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.094.862), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 12 ნოემბრის №5180095 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 12 ნოემბრიდან 2022 წლის 12 თებერვლის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. აღნიშნულ ბრძანებაში დაკვეთად დაფიქსირდა ზურაბი დგებუაძე.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 12 ნოემბრის №5180095 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილებას, კერძოდ, დამკვეთად ძველი მესაკუთრის - ზურაბი დგებუაძის (პ/ნ: №01022011528) ნაცვლად ახალი მესაკუთრის - შპს "ლუკა"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: №400192652) დაფიქსირებას.
საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, (განცხადების რეგისტრაცია: №882020890497, მომზადების თარიღი: 29/11/2020 წ.) ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში მდებარე №01.72.14.094.862 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს "ლუკა" (საიდენტიფიკაციო ნომერი: №400192652).
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16177079, 30/12/2016 წ.) შპს "ლუკა"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: №400192652) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს გია ჭილაია.
შესაბამისად დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში და დამკვეთად დააფიქსიროს შპს "ლუკა" (საიდენტიფიკაციო ნომერი: №400192652).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად,

ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2020 წლის 12 ნოემბრის №5180095 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს "ლუკა" (საიდენტიფიკაციო ნომერი: №400192652).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 12 ნოემბრის №5180095 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 12 ნოემბრის №5180095 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.